SMS გამოწერის სერვისის კონფიდენციალურობის პოლიტიკა

ვებგვერდზე SMS გამოწერის სერვისის აქტივაციისას/სარგებლობისას პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკით (შემდეგში პოლიტიკა).
ვებგვერდზე განთავსებული პერსონალური მონაცემების დამუშავება მოხდება იმ მოცულობით, რაც საჭიროა ეფექტური მომსახურების გასაწევად.

1. ზოგადი პირობები

1.1. ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ (შემდგომში - ადმინისტრატორი) წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ სუბიექტს, რომელიც შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ (შემდგომში - კომპანია) დაკვეთით ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების ელექტრონული სერვისების დანერგვასა და შესაბამისი მომსახურების დაინტერესებული პირებისათვის მიწოდებას.
1.2. თუ თქვენ იყენებთ ჩვენს მომსახურებას იგულისხმება, რომ თქვენ სრულად ეთანხმებით წინამდებარე კონფიდენციალურობის პოლიტიკას, ამასთან თუ თქვენთვის მიუღებელია წინამდებარე სტანდარტით განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები, მაშინ არ უნდა ისარგებლოთ ჩვენი მომსახურებით (მათ შორის შეწყვიტოთ ჩვენი ვებგვერდის შემდგომ/სხვა გვერდებზე გადასვლა და მობილური აპლიკაციით სარგებლობა).
1.3. წინამდებარე პირობებში დროდადრო შეიძლება შევიდეს ცვლილებები. ამიტომ გთხოვთ, რეგულარულად გაეცნოთ მას, ხოლო ყოველი კონკრეტული სერვისის/მომსახურების მიღების მიზნით გადაამოწმოთ ადმინისტრატორის მიერ დასამუშავებელი პერსონალური მონაცემების მახასიათებლები და მოცულობა.

2. წინამდებარე პოლიტიკის მიზანი

2.1. ადმინისტრატორი და შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ ცდილობენ დაიცვან იმ პირების პერსონალური მონაცემები, რომლებიც სარგებლობენ ვებგვერდზე SMS გამოწერის სერვისით. შესაბამისად, სააგენტომ და კომპანიამ შეიმუშავა წინამდებარე პოლიტიკა იმის აღსაწერად, თუ როგორ და რა სახის ინფორმაცია შეგროვდება ვებგვერდის მომხმარებლებისგან და იმ მიზნების განსასაზღვრად, რომლის მისაღწევადაც კომპანიამ შესაძლოა შეაგროვოს, გადასცეს ანსხვაგვარად ხელმისაწვდომი გახადოს აღნიშნული მონაცემები.
2.2. წინამდებარე პოლიტიკა ვრცელდება იმ ყველა სახის ინფორმაციაზე, რომელსაც სააგენტო და კომპანია თქვენ მიერ ვებგვერდზე ვებგვერდზე SMS გამოწერის სერვისის გამოყენების შედეგად მოიპოვებს.

3. პერსონალური ინფორმაცია, რომლის დამუშავებაც შესაძლებელია განხორციელდეს კომპანიის მიერ

3.1. პერსონალური მონაცემია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.
3.2. სახელი, გვარი, პირადი ნომერი, მისამართი, სატელეფონო ნომერი, დაბადების თარიღი ან/და ადმინისტრატორის მიერ სერვისის/მომსახურების/ გაწევის მიზნით აუცილებელი სხვა ინფორმაცია.
3.3 ვებგვერდზე შესაძლებელია სასურველ ტელეფონის ნომერზე დაჯარიმებასთან

დაკავშირებით მოკლეტექსტური შეტყობინების მიღების ფუნქციის გააქტიურება. კერძოდ, ვებგვერდზე „sms-ის მიღება“ ბრძანებაზე დაწკაპებით მომხმარებელს გამოუჩნდება შესაბამისი ველები: მანქანის ნომერი და პირადი ნომერი ან ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი. მნიშვნელოვანია, რომ ეს ორი მონაცემი უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს, კერძოდ: მანქანის ნომერი უნდა ეკუთვნოდეს იმ პირს ვისი პირადი ნომერიც ეთითება, ეს ნიშნავს რომ აღნიშნული პირადი ნომრით პირი უნდა იყოს მითითებული სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე, წინააღმდეგ შემთხვევაში სისტემა არ იძლევა პროცესის გაგრძელების შესაძლებლობას. მას შემდეგ, რაც მიეთითება ზემოხსენებული მონაცემები, ვებგვერდზე გამოჩნდება მობილური ნომრის ველი, რომლის შევსების შემდეგაც მითითებულ მობილურ ნომერზე იგზავნება 6 ნიშნა-სიმბოლოიანი SMS სერვისის აქტივაციის უნიკალური კოდი. აქტივაციის კოდის შეყვანის შემდეგ, მობილურ ნომერზე აქტიურდება SMS შეტყობინების მიღების ფუნქცია. შესაბამისად, მხოლოდ ნომრის მფლობელს, ვის მფლობელობაშიც იმყოფება შესაბამისი მობილური ტელეფონი, აქვს 6 ნიშნა-სიმბოლოიან კოდზე წვდომის შესაძლებლობა.

4. რა ინფორმაციას აგროვებს თქვენგან კომპანია და რა მიზნით

4.1. კომპანია აგროვებს იმ პერსონალურ მონაცემებს, რომელსაც თქვენ გვაწვდით ვებგვერდის მეშვეობით SMS გამოწერის სერვისის აქტივაციისას ან მაშინ, როდესაც, ან რომელსაც გვაწვდიან მესამე პირები, როდესაც ისინი სხვა პირის სასარგებლოდ ახდენენ ვებგვერდის მეშვეობით SMS გამოწერის სერვისის აქტივაციისას.
4.2. პერსონალური ინფორმაციის შეგროვება შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამისი საჭიროებისას, რა დროსაც ადმინისტრატორი უფლებამოსილია შეაგროვოს ინფორმაცია სხვა ორგანიზაციებიდან. მათ შორის, მაგრამ არამხოლოდ - თაღლითური შემთხვევების პრევენციის სფეროში მოქმედი სააგენტოებისგან და ბიზნეს ცნობარებიდან.
4.3. კომპანია თქვენს პერსონალურ მონაცემებს იყენებს შემდეგი მიზნებისთვის:
- ქალაქ თბილისში პარკირების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- პარკირებასთან დაკავშირებული დაჯარიმების შესახებ თქვენთვის ინფორმაციის მოსაწოდებლად;
- პარკირებასთან დაკავშირებული ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად;
- კომპანიის მომსახურების შესახებ თქვენთვის ინფორმაციის მოსაწოდებლად;
- წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებისთვის.

5. მონაცემთა დამუშავების პრინციპები

5.1. მონაცემთა დამუშავებისას დაცულია შემდეგი პრინციპები:
5.1.1. მონაცემები მუშავდება სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვით და მისის ღირსების შეულახავად;
5.1.2. მონაცემები შეინახება იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავებისმიზნის მისაღწევად;
5.1.3. მონაცემები მუშავდება კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული, კანონიერი მიზნებისათვის;
5.1.4. მონაცემების დამუშავება მიზნის ადეკვატური და პროპორციულია;
5.1.5. მონაცემები მუშავდება მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად;
5.1.6. მონაცემები ნამდვილი და ზუსტია, ასევე საჭიროების შემთხვევაში, ექვემდებარება განახლებას.
5.2. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით. კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს.
5.3. იმ მიზნის მიღწევის შემდეგ, რომლისთვისაც მუშავდება მონაცემები, ისინი უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს ან შენახული უნდა იყოს პირის იდენტიფიცირების

გამომრიცხავი ფორმით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

6. უსაფრთხოების რა ზომებია დანერგილი თქვენი ინფორმაციის დასაცავად

ადმინისტრატორმა და კომპანიამ უზრუნველყო ყველა ხელმისაწვდომი გონივრული ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ზომის მიღება, იმისათვის, რომ ვებგვერდის მეშვეობით მოპოვებული პერსონალური მონაცემები დაცული იყოს უნებართვო წვდომისგან, დაკარგვისგან ან განადგურებისგან.

7. ვის გადაეცემა ვებგვერდიდან თქვენ შესახებ შეგროვებული ინფორმაცია

თქვენი ინფორმაცია შესაძლოა გადაეცეს სახელმწიფო ორგანოებს ან ნებისმიერ სხვა პირს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. როგორ შეგიძლიათ თქვენ პერსონალური მონაცემების გაცნობა

მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, თქვენ შეგიძლიათ გადაამოწმოთ კომპანია ინახავს თუ არა თქვენს პერსონალურ მონაცემებს, მოითხოვოთ ჩვენთან დაცული თქვენი პერსონალური მონაცემების ასლის გადმოცემა ან/და პერსონალურ მონაცემებში დაშვებული უსწორობის აღმოფხვრა. ასევე, თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ ინფორმაცია თქვენ შესახებ დამუშავებულ მონაცემთა თაობაზე, მოითხოვოთ მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება.

9. რა უნდა გაითვალისწინოთ, როცა პერსონალურ მონაცემებს ინტერნეტის მეშვეობით აგზავნით

ინტერნეტი არ არის აბსოლუტურად დაცულ სივრცე, და ინფორმაცია, რომელსაც ინტერნეტის მეშვეობით იგზავნება შესაძლოა არასანქცირებული წვდომა მოიპოვონ მესამე პირებმა, რასაც შესაძლოა მოჰყვეს ინფორმაციის უკანონო გავრცელება, გამჟღავნება, ინფორმაციის შემცველი მასალის ცვლილება ან სხვა კანონდარღვევა. შესაბამისად, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება ვებგვერდზე SMS გამოწერის სერვისის აქტივაციისას არასანქცირებულ წვდომას ადმინისტრატორი და კომპანია მოკლებულია შესაძლებლობას უზრუნველყოს ინფორმაციის შემდგომი უსაფრთხოება.

კომპანია იყენებს ისეთ მეთოდს, როგორიცაა მზა ჩანაწერები **(cookies)** ან თეგი.